

სიკვდიელი  
პიტიპიაში



გიორგი კეკელიძე

# სიკვდილი პიკვერიაში

სხვა ლექსები

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა  
საიტმა: [www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)

შოთა დიღმელაშვილი

## სხვა წინასიტყვაობა

მე არ ვარ უბრალოდ მკითხველი და, შესაბამისად, ვერც ინტერპრეტაციას შევკერავ მთლად პათიოსნად, რადგან ავტორის ჩანაფიქრის, თბრობის მისეული, სახასიათო შტრიხებისა, თუ მხატვრული აზროვნების მანერის ასაკინძავად ძაფებს წიგნში არ დავეძებ. რაც უნდა ფატალურად წყდებოდეს ავტორის ბედი პიცერიასა თუ ვენეციაში, ჩვეულებრივი მკითხველისგან განსხვავებით, ჩემთვის იგი მკვდარი ვერ იქნება. არსებობს გამოკვეთილი რისკი, რომ ნაწარმოებისთვის გადაღებული რენტგენი „კლასგარეშე“ ურთიერთობის კადრებს გადაედება ფირზე – გაშუქდება ის, რაც ტექსტს მიღმა იყო. ამგვარი რენტგენი კარგად შეგაფასებინებთ ავტორს, სამაგიეროდ, აზარალებს უშუალოდ ნაწარმოების შეფასებას. როლან ბარტს ეს არ მოეწონებოდა. თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკისთვის ქრესტომათიულ, 1967 წელს გამოქვეყნებულ ესეიში – „ავტორის სიკვდილი“ – იგი რადიკალურად უპირისპირდება ნაწარმოების გარჩევაში ავტორის ბიოგრაფიული კონტექსტის ჩართვის დამკვიდრებულ პრაქტიკას. ამიტომ ბევრ სხვა მწერალ მეგობარს, ალბათ, არც დავყაბულდებოდი წინასიტყვაობის დაწერას, მაგრამ გიორგი კეკელიძე განსაკუთრებული შემთხვევაა. აგიხსნით, რასაც ვგულისხმობ: იგი მწერალთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც საკუთარ წიგნებში ცენტრალურ ადგილს თავ-



ადვე იკავებენ (ეს ზედაპირული დაკვირვებითაც ხომ ნათელია – უბრალოდ გადახედეთ „გურული დღიურების“, „ცხრათავიანი ფეხბურთის ზღაპრისა“ და ამ წამს, თქვენს ხელში გადაფურცლული წიგნის გარეკანებს). აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ნაწარმოებზე საუბრისას, ძალაუნებურად, ავტორზე მეტის თქმა მომიწევს, ვიდრე წიგნის სხვა პერსონაჟებზე. კაცმა რომ თქვას, არც ლიტკრიტიკოსი ვარ, რომ ბარტს კოჭი ვუგორო. მოკლედ, დავთანხმდი.

გრძელი წინასიტყვაობის კითხვა არავის გვიყვარს, ამიტომ დიდხანს არ დაგტანჯავთ. საკუთარ ნარატივში დაკავებულ მთავარ როლზე გავჩერდით. ვიცი, რასაც ფიქრობთ, მაგრამ ნუ ვინჯარებთ სახელოდან „ეგოცენტრულობის“ ბრალდების გამოძრობას – მიუხედავად იმისა, რომ პირადად ჩემთვის, არაეგოცენტრული მწერალი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ნაკლებად საინტერესოა.

აქ საქმე ცოტათი უფრო რთულადაა: ეგოცენტრიზმი მეტწილად ექსტრავერტულ ფსიქოტიპშია გამჯდარი, ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც. ჩვენი საყვარელი ეგოცენტრისტი მწერლები ცდილობენ, თავად იყვნენ სამყარო, რომელიც პერსონაჟების ქცევისა და ურთიერთობის წესებს დაარეგულირებს. ისინი არასდროს დგანან პირით პუბლიკისკენ. მხოლოდ ამაყი რევერანსისთვის თუ შემობრუნდებიან – როგორც დირიჟორები. ისინი არ წერენ პირველ პირში, რადგან ეს მათ სცენაზე რიგით პერსონაჟად დააყენებდა. მათ არ უნდათ, არსებობდნენ სცენაზე, მაგრამ ეს ლაკანისეული „დიდი სხვის“ მზაკვრული არარსებობაა – არ იყო არსად, რათა იყო ყველგან.

თავად გიორგი კეკელიძის მხატვრული პოზიცია აშკარად საპირისპიროა – მეტისმეტად ინტროვერტული.

მას არ აინტერესებს სამყაროს შექმნა, მას აინტერესებს საკუთარი ადგილი სხვების შექმნილ



სამყაროში. მას არ აინტერესებს მოცემულობა, მას აინტერესებს საკუთარი თავი ამ მოცემულობაში. მას არ აინტერესებს სამყარო საკუთარი თავის გარეშე, მაგრამ ამავედროულად, არ აინტერესებს საკუთარი თავი ამ სამყაროს გარეშე. იგი ცხოვრების დანარჩენ პერსონაჟებს ცალი თვალით გვიყურებს, მეორე კი ჩაბრუნებული აქვს, რადგან საკუთარ თავში ეგულება სხვა გმირების გასახსნელი უნივერსალური გასაღები. „ღამის ფსკერი ჩემი თვალის თვალუწვდენ ფსკერს ჰგავს“, – წერს იგი ლექსში „დედა და შვილები“.

ჩემი მხრივ, მგონია, რომ სწორედ პოეზიაა გიორგი კეკელიძის პროზაული სტილის გასაღები. აქამდეც მითქვამს, პოეტები მეცნიერებებით არიან. ისინი არ იგონებენ სამყაროს, მით უმეტეს მის კანონზომიერებებს, უბრალოდ, ელევანტურად აღწერენ მათ. ლოგიკურია, რომ მოლოდინების საპირისპიროდ, პოეტური წარსულისა თუ აწმყოს მქონე მწერლებს დოკუმენტური პროზა მეტად იზიდავთ. გიორგი კეკელიძესაც ასე დაემართა. „სიკვდილი პიცერიაში“ მისი მესამე პროზაული ნაწარმოებია, რომელიც თითქოს სუბიექტური კამერით გვაჩვენებს იმას, რაც ისე ნაცნობია, რომ უკვე თვალს ვარიდებთ – და თურმე სულ ტყუილად. ყოველდღიურობის განუყრელი თემატიკის პროზაული გადამუშავებით, პოეტი გვახსენებს, რომ მთავარი ის კი არაა, რას ვხედავთ, არამედ როგორ ვხედავთ.

ამ ერთი შეხედვით დეტექტივის ჟანრის ნაწარმოებშიც, გიორგი კეკელიძე დამკვირვებელი უფროა, ვიდრე გამომძიებელი (აკი თავად ამბობს „სხვა დეტექტივიაო“). რუსთაველის, მეღვილისა და დანტეს ზედაპირული შეთამაშება – მეტია, ვიდრე გულუბრყვილო პოსტმოდერნული რემინისცენცია.

ჩვენ ჩავყურებთ თვალს და თვალი ამოგვყურებს

ჩვენ. ამიტომ სანამ გიორგი კეკელიძეს ჩვენი

სულის არქიტექტორების გაბიაბრუებაში და-



ვდებთ ბრალს, უნდა ვიკითხოთ, რა უფრო დიდი სისასტიკეა ზოგადსაკაცობრიო კულტურისადმი – ავტორის მიზანმიმართული, თუ მკითხველის უნებური ზედაპირულობა? ჰო, ზედაპირულობა – აბა, სხვა რა სიტყვით შეგვიძლია დავახასიათოთ რეალურ ცხოვრებაში მორიგი, კვლავწარმოებადი შექსპირული ტრაგედიის შემდეგ გამართული ვირტუალური ფეისბუკ-პანაშვიდები? ვფიქრობ, სწორედ დიდი თემებისადმი საყოველთაო, ცხოვრებისეული ზედაპირულობა არის მთავარი პოეტური ჰიპერბოლა, რომელიც ავტორს სურდა, ამოგვეკითხა. ამ მცირე ფორმატში თავმოყრილია ეროვნული ვირტუალური ყოფის მთელი ფენომენოლოგია. გიორგი კეკელიძის განწყობის აღსაწერად ფენომენოლოგია საკვანძო ტერმინია (ენციკლოპედიური განმარტებით, „რადიკალური ანტიტრადიციული ფილოსოფია, რომელიც უბრუნდება ფენომენის აღწერას ისე, როგორც მას განიცდის კონკრეტული ადამიანი. [...] ფენომენი არ შეფასდება მის უშუალოდ განცდამდე“).

დამსაჯეთ! – თითქოს ამას გვეუბნება გიორგი კეკელიძე უკვე სამარკო ნიშნად ქცეული ენით; ჰაერზე მსუბუქი, ჰელიუმივით უეცრად ფეთქებადი იუმორით, რომელიც უმძიმესი სოციალური თემებით დატვირთულ დირიჟაბლსაც მარტივად ძრავს. – დამსაჯეთ! ჩვენ ყველანი ილოიასნაირი ვუაიერისტები ვართ, მაგრამ ოიდიპოსივით პატიოსნები ვერა, რომ საკუთარი თვალები დავიბრმავოთ, ამიტომ მოდი, ერთმანეთს ვთხაროთ. ჯანდაცვის სამინისტრო არ ვარ, რომ ზრდასრული ადამიანები რადიკალური ზომების მავნებლობაზე გაგაფრთხილოთ, თუმცა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა: საკუთარი განცდების საილუსტრაციოდ, დასაწყისისთვის, შეგვიძლია თუნდაც ეს წიგნი მივცეთ ერთმანეთს. დანარჩენზე – ვნახოთ.



„ო, ჩვენი პლანეტის შავო ყვავ-ყორნებო!  
ვეშაპთა შორის უდიადესიც კი ამაოდ შეეცდება  
თქვენი ბრჭყალებისაგან თავის დახსნას!“

ჰერმან მელვილი

თავი 1

ისმანელი  
დამიძაბუა!

აქ ამბის გმირი ამბისვე თხრობისას აქტიურად კითხულობდა თანამედროვე ქართულ პროზას, ერთი-ორჯერ სვეტ-ასკეტთა კანონიც დაარღვია და ამგვარი სერიალი „ჩემი ცოლის დაქალებიც“ კი შემოეყურა. შესაბამისად, ზოგან თქვენ შეამჩნევთ გავლენებს და ალბათ არ დასჯით.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გუბეს ვერ გადავახტი.

შარვალი დამესვარა, დედაჩემო და მამაჩემო! უფრო დედაჩემო! ჩემი თეთრი ჯინსის შარვალი! ეს ყველაზე საშინელი ტანსაცმელი, რაც კაცობრიობას ოდესმე მოუგონია. ცხადია, ბალის რეიტუზების და ოფლით განებილი ცეკვის სარეპეტიციო შავი სპორტულების მერე. და, რა თქმა უნდა, შალის როლინგების და ბიძაშვილის გამონაცვალის სამი ზომით დიდი დუტის კურტკის მერე, რომელსაც თურქეთის დროშის ქვეშ ეწერა: „მეიდ ინ უსა“. ნადიამ მიყიდა ლილოს ბაზრობაზე. ბევრ შავს შორის იდო და გამყიდველმა უთხრა, საშვილიშვილოა, არ დაიხევო, სიფთა ხარ და 30 ლარში გაძლევო. ლილაში ნუ გარეცხავო და ისე სარეცხი მაშინა და ოკეანეები მაგას არ უნდაო. ოკეანეები არ სჭირდებაო. ეგრე იციან მაგათმა: უცებ, სა-



რეცხი მანქანის გვერდით, ოკეანეებს და რალაც უშველებელ ამბებს ახსენებენ. შორს და მიუწვდომელს. თეთრი ჯინსის შარვალის იშვიათი რამეა. ის მოლურჯო-მოციხურ კი არა, თეთრს რომ ეძახით. ნაღდი თეთრი. მერე სხვებსაც მოეწონათ. კლასელებს. და იმათაც დააბარეს ლილოში ნადიას.

ეგ დამესვარა. ილოია! ილოიაზე სასტიკი ხმები დადიოდა. ასე ამბობდნენ, სახლში, გაუთხოვარი დეიდამისი რომ ბანაობს, შესაკეთებელი სახელურის ღრიჭოდან უჭვრიტინებსო. ოთხმოცდაათიანი წლებია და მაშინ ეგეთი წესია, რომ ფერის ოთახში, ლახანკაში ბანაობენ. სხვა წევრები ზევით, ოდაში ადიან, დასანოლად და ვისაც ტანის დაბანა უწევს, ის რჩება. ილოია ჩადისო და დეიდამისს უჭვრიტინებსო. ვერ გეტყვით, ცნობებს რა ადასტურებდა, მაგრამ ერთხელ თქვეს და დავიჯერეთ. ქორწილებში ხომ ყოფილხართ, ხალხი ცეკვავს მთვრალი და კუთხეში კიდევ უფრო მთვრალი კაცი დგას. ცოტა ასაკმიპარებული. სახეზე აწერია, საქმეში გარევა უნდა, კუნთები ოდნავ ეჭიმება, თითქოს რალაცის თქმას აპირებს, მაგრამ ამის ძალა აღარ აქვს, არათუ ცეკვის და მალაყების. ილოიას სულ ეგეთი სახე ჰქონდა, სადღაც შუა გზაზე გაჩერებული, მონდომებული და გაჩერებული სახე. ჰოდა, ზედ ილოიას ჭიშკრის წინ იყო ეგ მზაკვარი გუბე. და გამწარებულზე, რასაც მაგაზე ფიქრობდნენ, ოთხი იმდენი დავაბრალე და იქ ვინმე რომ ყოფი-



ლიყო, უკანასკნელი ჭორიკანასაგით დეტალებსაც კი მოვუყვებოდი. მაგრამ შარვალი უკვე ტალახიანი მქონდა, ილოიას სახლის წინ კი ინდაურის ჭუკებს ბებიამისი აჭმევდა. მარინა. მარინა მოსახლიშვილი. მარჯვენა ლოყაზე ბენჯებიანი ხალით.

ელენე ამბობდა, რომ მესამე ბავშვის მერე ძუძუები ჩამოენელა და ხელს იფარებდა. მე კიდევ ეს ყველაზე ნაკლებ მაინტერესებდა. ან საერთოდ რა მაინტერესებდა, ეგეც არ ვიცი. ქალებს, ვთქვათ დიდ-მაჩოურად, ყოველდღე ვიცვლიდი. მესმის, ბატონებო, სასტიკად არაფემინისტურად ჟღერს, მაგრამ ასე იყო. არადა, არასამთავრობოშიც ვმუშაობ. არადა, მონოდებით ფემინისტი ვარ. შინაგანად. BDSM-ს ვუყურებ ხოლმე პორნოსაიტებზე, მაგრამ განხორციელება არ შემიძლია. ჰოდა, სექსი. ბოლოს მეგონა, რომ ეს რაღაც საქმედ იქცა. არც ვსვამდი. არც ვენეოდი. არაფერი. სადღაც ხომ უნდა გავქცეულიყავი. ხან, როცა ქვევით პერსონაჟები იცვლებოდნენ, როგორც რომ ფერგიუსონისთვის კევის ღეჭვა იყო აუტის ხაზთან — შეუმჩნეველი, მაგრამ აუცილებელი — ასე ვიყავი. შუაგულ ამბისას ლოგინის კუთხეზე მიწებებულ ნაკლეიკას ვუყურებდი და ბოლოს, სექსი ეგ ნაკლეიკა მეგონა. აი, ელენე კი ამბობდა, რომ ოპერაცია სჭირდება და 8 000 დოლარი ღირს. მე ვუთხარი, შენი გაქანების ქალისთვის ეგ საქმე რთული არ უნდა იყოს-მეთქი და სკამზე დაგდებულ პრეზერვატივს დავხედე, მივხვდი,



უნიტაზში ჩაგდება მეზარებოდა. არადა, კარგა ბლო-  
მად ტეხავდა ელენესთვის მეთქვა. იმ დილით გავიცა-  
ნი. ელენე ამბობდა, რომ სულთ ახვარი ქმარი ჰყავს.  
მაგრამ, მგონი, გულგარეთ ამბობდა. ეკიდა. ქმარიც.  
ახვრობაც. მინაც. ცაც. ლაჟვარდიც. მხოლოდ ძუძუე-  
ბის ფული სჭირდებოდა. მაგრამ ხომ არ გაბოზდებო-  
და. ისე კი ფული ჩათლახებს ჰქონდათ ამ ქალაქში.  
ანას ML რა პონტში უნდა ჰყავდეს. ანა პრაშმანდო-  
ვკას. მაგრამ ემელი, ეგეც არ იყოს პრადო. ამასობაში  
ელენეს ცალ ძუძუზე სამი ბენვი ჰქონდა. ამასობაში  
ჰქონდა კი არა, ამასობაში დავინახე. მოყოლისას ხან  
ვირევი. ჰოდა, ამან გამახსენა ილოიას ბებია. ან პირი-  
ქით. რა ვიცი. მარინა მოსახლიშვილი. მერე ელენეს  
დაეძინა, თავი ჩემს მკერდზე ედო, გავიოფლე და გა-  
დავადებინე. ოდნავ მივინიე და დავაკვირდი. ნუხელ  
აქ ნინა იწვა. სექსი არ გვექონია. ნინა ამბობდა, რომ  
კოცნა უმთავრესია და სექსი მერე. იხდიდა და მერე  
აღარ. ძილი დიდებული საქმეა. დიდებული საცქერი.  
ელენეს ეძინა მშვიდად. არც ძუძუები ახსოვდა და  
არც პრადო. მგონი სიზმრები უფრო სხვანაირი ჰქონ-  
და. უფრო რომანტიკული. ბათუმში ველოსიპედებით  
სეირნობა ოდნავ ნანვიმარზე და მერე ჩაის დალევა  
ლიტერატურულში. ნეპალი? ნეპალი ალბათ თვეში  
ორჯერ ესიზმრებოდა. პა პრაზდნიკამ. ნეპალი ან ნე-  
აპოლი. რა მნიშვნელობა აქვს. ელენეს ეძინა მშვიდად.  
ძილზეც გამახსენდა: სტუდენტობისას, როცა ზაფხუ-



ლობით ჩავდიოდი, ბებიაჩემი ჩემ გვერდით წვებოდა. ისევ პატარა ვეგონე — თაფლიანი კოვზით, ფეხები დაითბილეთ მეუბნებოდა ძილის წინ. ძილისას მის სუნთქვას ვაკვირდებოდი, ეგეთი აკვიატება ადრეც მქონდა — სიტყვებით ცოტა რთულად გამოდის ამის თქმა რატომღაც. უფრო სწორად, ნაფილოსოფოსება გამოდის — ვაკვირდებოდი, იმიტომ, რომ ვიცოდი, ადრე თუ გვიან შეწყდებოდა და წამის შეჩერების ამბავზე ვფიქრობდი და მსგავსი ფუჭი ამბები. ეს იმიტომ, რომ ძალიან მიყვარდა. მასაც ვუყვარდი. თუმცა, როგორც სიყვარულის წესია, ხშირად მიწყენინებია. საშინლადაც. დღემდე ვნანობ — ერთხელ, მეგობრებთან ერთად ვიყავი სურებში, ზაფხულში, თვითონაც გვახლდა და ღამით ტუალეტისთვის რომ გავდიოდი, ბავშვობისას რომ მეუბნებოდა, ეგრე მითხრა: „გადააფსი, ბებია, ბალკონიდან, აფერი უჭირს“. იმხელა ვუყვირე, ახლაც ყურები მტკივა. მეგობრების გამიტყდა. დიდი ბიჭი ვიყავი. ბებიაჩემი წევს ჭანჭიკეთის სასაფლაოზე. ელენე აქ. მე არ მეძინება. ავდგები, ჩავალ.



0530 2

კაპიტალიზმი  
"კაპიტალიზმი და სოციალიზმი"

აქ ამბის გმირი ამბისვე თხრობისას იყო კაფეში, მაგრამ გავლენები მიმდინარე ქართული პროზისა კიდევ ჰქონდა, თუმცა, საოცარმა ამბავმა მოულოდნელად ჩამოებრტყა.

მემარჯვენეების მეგობარი ჩამოვიდა. თქვეს მათ თვალებით, თვალებითვე დაუდასტურეს ერთურთს და ვინც პირდაპირ იჯდა, ისიც ზურგით შებრუნდა — ისე, სიმბოლურად, გულში. ხოლო კაფე ფილტვებს არ გულისხმობდა, რაც ნიშნავდა ყველგან სიგარეტის ნამწვს, ბიტლების შებოლილ სურათს და ბუნდოვან სარკეებს ძველი კარადის, რომელიც მშრალ ხიდზე ვნახე და ახლა გამიკვირდა, აქაც რომ დამხვდა. ან მისი ტყუპი იყო, ძმას რომ მონყვიტეს, აი, ძველ ფილმებში რომ ოსმალეობი აშორებდნენ გასაყიდად გამოყვანილ ძმებს და უი, ტულუში:

- რა ხდება სკოლაში, მორჩით რემონტს?
- მიდის წინ-წინ.
- სალოლ შენ, კაი საქმეებს აკეთებ!
- ისე, რა.
- რა, რა?
- ჰო, რა.
- ბიჭო, ისა და, შენ ლივერპულს ბალეშიკობ, ხო?



ორი გოგო შემოდის. ერთი ბეზ პინი მინუტ მენსონია, სახეზე. მეორე — სულით. თუ რა დროს მენსონია. პოსტ-პანკი და ინდი-მინდი. ელექტრონიკა. ტრიპ-ჰოპი. ალტერნატიული როკი. ალტერნატივა ალტერნატივად, მარა მენსონია სახეზე. ორივე დასხდნენ ფეხმორთხმით, ვითარცა დაღლილი სანიასები. სიყრმიდან თვისით აშკარად ლამაზები, მაგრამ არამც და არამც ნაშები. ნაშები — არა! ამის დასტურად და ამის მოსურნეთა თვალის დასათხრელად, ხელებზე და კისერზე სასტიკი ტატუები, ხორცის დამთრგუნველი, პადზემკათა ნაზი ინკვიზიციის სანიმუშო შედეგი. „პოლიტიკას ხევ და უმტკივნეულოა, მარტინა კაი მასტერია, პროსტა ცოტა ჩხვლექებს გრძნობ და... ეგეც გისწორდება, ცოტა გილიტინებს“, „აქ ჩინურად მანერია რა, ვერ გეტყვი, პროსტა ნათქვამი მაქ, რო არ ვთქვა“.

— აუ, გონჯასუფი იცი. გასულია. არ გეცოდინება. კონტორამ დააგდო ფორუმზე. ლოუ ფაი. ახალი ჟანრი ყოფილა. ორი პივა მოგვეცით და მინის თხილი. რა ახალი, კონტორა როდის უსმენდა მაგას, მე რო ვიცოდი. ოთხმოციანებია ეგა. კონტორამდე ლაო ძიამ დააგდო. მუშების აქციაზე მიდიხარ? ტყვარჩელში? რა გადის მანდ, ახლა ავტოსტოპის თავი არ მაქ, თან ქართველი მძღოლები, თან ტყვარჩელში, ვინ გაგიჩერებს, არავინ ბოიშ. თუ კაბა არ აინიე. ორი პივა გითხარი! მინის თხილი თუ გათავდა, ისე თხილი იყოს. აუ,



დიჯეი ჯიმ-შერი უკრავს „ალაზანზე“ და თან ნათიაა ჩამოსული, ზუგდიდში იყო ტრენინგზე, პლანი ექნება. სამეცადინო მაქ ინგლისური, ერთი ამ ქვეყნიდან მოვხიო და... იცი, როგორც პონტში ვარ, აი, სიტყვებს რო ვსწავლობ, ერთ სიტყვას ვისწავლი და ერთი ნაბიჯი საზღვრისკენ ეგრევე, ასე წარმოვიდგენ. აი, ზუსტად ვიცი, ბოლო სიტყვა რა იქნება, მოვბრუნდები და ჩემს ქვეყანას ვეტყვი: „ფაქ იუუ“. აქ მომბრუნებელის რაა... აჰაჰა, მოვბრუნდები და ვეტყვი, ეგ ისეთ პონტში გამოგივიდა ხო, ქართულ იმაში როა, ალუდაში, რო მობრუნდება და მშვიდობით მთებო თქვენი შვილი განებებთ თავსა თუ რალაცას რო ამბობს. აუ რა სირობაა ეს ქართული რა, რეებს გვასწავლიდნენ სკოლაში. ბუკოვსკი რო დადო ფეისბუკზე, ნახე ამირანმა? ძნ მაგარი იყო, ტიპი ბუნკრებში ცხოვრობდა, გოგო, და არაფერი არ უტყდებოდა და მერე პროსტა რეებს წერდა. აუ, რა მძღნერი ლუდია რა, რით ვერ ისწავლეს...

მე ვერც შემაძინიეს. ან რა შესამჩნევი ვიყავი. სკოლის ახალგაზრდა დირექტორი. ვაფშე რა პონტში ვიყავი დირექტორი. და ვაფშე ეგ გოგოებს რატო მოსწონთ, გოგო. ხო, ამბობენ ყველასთან რამეო. აუ, ჩემთან ცვეტში არა რა. თქვეს მათ. და ერთმა მაინც ცოტა ინტერესით გამომხედა. აი, დაახლოებით ეგეთით, მერე ლოგინში რომ ასე მთავრდება: „აუ, შენზე სუ სხვა რამეს ბაზრობდნენ და სულ სხვა პონტი ყოფილა რაა, მარა პროსტა არსად არ გააბაზრო, ხო იცი“ და მერე



ისევ ასე გრძელდება მეხუთე დღეს სხვა მეგობართან:  
„აუ, ეგ ყველას ეჩალიჩება, მაგრამ მაგას პროსტა“...

ლუდი მართლა ცუდია. მწარეც არ ეთქმის. მარილ-  
მოყრილი კიდეც რალაცას ჰგავს. ალბათ. მაგრამ მა-  
რილი მუავე არ არის აქ. ტულუში მიდის. მაგრად აბა,  
შენ იცი, ჯერარდი დაგიბერდა ისე, ხო იცი. ხო, ყველა  
ვბერდებით ხოლმე. ხოლმე რა შუაში იყო? შეიძლება  
ელენეს გაელვიდა კიდეც, არ ვიცი. მეზარება ასვლა.  
აქაც მეზარება. ეგ ზისტენციალური გასაჭირი მად-  
გას. კამიუს და სარტრის რანგის. ქსანაქსი და ციტო-  
ლესი არაფერს მიშვება. უფრო ზუსტად, ცუდ საქმეს  
მიშვება. შევეშვები და ხელ-ფეხში მჩხვლეთს. მგონია,  
რომ სისხლის კიბო მაქვს და მერე კვლევები. უნდო-  
ბლობა ექიმების. ანალიზების მოლოდინში ცხრა სიკ-  
ვდილის გათავება. მერე სიხარული და სალამოს ისევ  
ციტოლესი. რივოტრილი. დალევ და ელოდები, რო-  
დის ჩავარდები ძილის უფსკრულში. ყველაზე მაგრად  
ეგ მომენტი ასწორებს, უფსკრულის წინ რომ ხარ და  
რომ იცი, უნდა გადავარდე და იქ გაითიშები და ცოტა  
ხნით გაქრება ყოველდღიური წარამარა. მარა მაი  
აფერი. შევეჩვიე. ტელეფონს დავხედე. მესიჯი მოსუ-  
ლა. მესიჯებზე ზარი გამორთული მაქვს. „ფატმანა  
მოკლა ქმარმა. ახლა ვნახე, ტევეთი გადმოსცეს. ჩვენ  
სახლთან ვიკრიბებით და გამო, თუ არ გძინავს. შოკ-  
ში ვართ. ელდარამაც დამირეკა. მისამართი ხომ იცი“.  
ფატმან ბოჭოიძე. სასწავლო ნაწილი.

თაზი 3

ვატმან ბოჭორიძე.  
სასწავლო ნაწილი

: [www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)



აქამბის გმირი ამბისვე თხრობისას კითხულობდა დანტეს, მარკ ტვენს და ორ ჟურნალს, რომლის სახელსაც ახლა შეგნებულად არ დავასახელებთ.

ფატმან ბოჭოიძე ბიოლოგიას ასწავლიდა. ორჯერ ღია გაკვეთილი ჩაატარა და როგორც დირექტორი, დავესწარი. სხვა მხრივ, ერთი პატარა ამოვარდნის გარდა, ჩვენი გადაკვეთა ადმინისტრაციული საქმიანობის დეტალებს გულისხმობდა. განრიგის შედგენა. შეფასებების სისტემა. მასწავლებლები. ნიჭიერი და ურჩი მოსწავლეები. გაკანრული გულების მიერ გაკანრული მერხები. ან ისე გაკანრული. გამცდენი მასწავლებლები. მშობელთა ჩართულობა. კლასგარეშე ღონისძიებები. ოლიმპიადეები. ფატმანი თვლიდა, რომ სხვაგან იყო მისი ადგილი. 24 წლის. ნიჭიერი. ალაგ-ალაგ ლამაზი. ეს სიტყვები მასვე ეკუთვნოდა. საკუთარ თავზე. ქმარი მარკეტინგის სპეციალისტი. სუპერმარკეტ „ოდელიას“ თანამშრომელი. წამყვანი თანამშრომელი. მარად გაპარსული კაცი. სახეპრიალა. საბავშვო ბაღის პარკეტივით. გულში დავარქვი: „მარკეტი-პარკეტი“.



მარკეტ-პარკეტ დიდებულიძე. ისე, ავთო ერქვა. ავ-  
თანდილი. ავთანდილმა და ფატმანმა ერთმანეთი  
ფეისბუკით გაიცნეს. თავიდან ფატმანი ეუბნებოდა,  
უცხოებს არ ვხვდებიო. ამან: ახლა სამყარო შეიცვა-  
ლაო. აბა, მაინცდამაინც დაბადების დღეში ხომ არ  
უნდა გნახოო. ფატმანი ისევ ჭოჭმანობდა, მაგრამ  
მერე შეხვდა. ავთომ ბევრი ილაპარაკა და მანქანით  
მცხეთისკენ გაისეირნეს. ბებრის ციხესთან ავთომ  
მოულოდნელად გააჩერა და კოცნა მოინადინა. ფატ-  
მანმა პირველ დღეს გაცნობილს ხომ არ გაკოცებო  
და, ავთომ უთხრა, აბა, მართლა ათ ფუთ მარილს ხომ  
არ შევჭამთო და აკოცა. მაგრამ ფატმანიც და ავთოც  
ერთ რამეში თანხმდებოდნენ. ქორწინებამდე სექ-  
სი არ იქნებოდა. და, შესაბამისად, დაქორწინდნენ.  
ფატმანი ქერა იყო, მაგრამ თვლიდა, რომ სტერეო-  
ტიპებს ამსხვრევდა. ანუ ქერა იყო და ჭკვიანი. ნუ,  
ამავდროულად ამბობდა: რა სისულელეა, უამრავი  
ქერა და ჭკვიანი მინახავსო, მაგრამ მაინც თვლი-  
და, რომ სტერეოტიპებს ამსხვრევდა. შესაბამისად,  
ფატმანის ადგილი სკოლაში, სასწავლო ნაწილის თა-  
ნამდებობაზე არ იყო. ამას განსაკუთრებით გულის  
მომკვლელად მაშინ ამბობდა, როცა გაკვეთილების  
მერე, სამასწავლებლოში ვისხედით, ყავას ვსვამდით.  
ფატმანი, ყაზბეგის და კლდიაშვილის სურათებს შო-  
რის რომ ლურსმანი იყო უსურათოდ დარჩენილი,  
მიაშტერდებოდა, თავს ოდნავ გადაიქნევდა და იტ-



ყოფდა: „ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ, როგორ დავაგვიანე შარშან განსამინში ვაკანსიების ნახვა“.

ახლა ფატმანი პროზექტურაშია. მკვდარი. მოკლული. ავთო მკვლეელია. ადგილზე დაპატიმრებული მკვლეელი. და წინასწარდაკავეების საკნის მკვიდრი. ჩვენ კერძო სკოლა „საიმედოს“ წარმომადგენლები ვართ. ასევე არის ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხალხი, პოლიცია, ნათესავები. იქვე გაზეთები. ჟურნალები. „20-ფრთიანი ფრაზა, რომელიც ნებისმიერ ქალს თქვენს მონად აქცევს“, „ანა ლურწკაია ბავშვის გამო სცენას ტოვებს“, „ამ ზამთარს თოვლი არ ყოფილა — განაცხადა წინასწარმეტყველმა და ნათელმხილველმა ლოლა მინაშვილმა“...

ისე, მართლა, რა უთოვლო ზამთარი იყო. თითქმის არც ციოდა. სისხლის კვალი სადაცაა, იმ ოთახში მე ვერ შევიხედავ. არც შემიშვებენ. აქეთ ოთახში კი სკოლიდან მოსულები ვდგავართ. არის ხატების კუთხე, ტანსაცმლის კარადა, ძველი, ალბათ გადასაგდებად გამზადებული მაცივარი და იმ მაცივარზე ოდესღაც ბელგრადიდან ჩამოტანილი სუვენირი.

რა უთოვლო ზამთარი იყო.

თავი 4

ქვე მეთე -  
ქვე უკანასკნელი



აქ ამბის გმირი ამბისვე თხრობისას კითხულობდა „გურულ დღიურებს“.

ხომ შეიძლება, დილის ექვსი საათი არ არსებობდეს. სადღაც რვამდე. ცხრის ნახევრამდე. თვალს ვახელ და ასე, ოცდაათი წამი კარგად ვარ. მერე რაღაც მეპარება მარჯვნიდან და მთელ მკერდს იპყრობს. ან მახსენდება, რომ უნდა მომეპაროს და ჩემით ვიხმო. ცალი ხელით იქვე ტრიალებს, ცალით ყელში მანვება. მანვება და ყველა მომხდარ, მიმდინარე და სავარაუდო უბედურ საქმეს მშვიდად მახსენებს. რა ენაღვლება, ეტყობა კარგად უხდიან და თან მისი საქმეა, უყვარს რასაც აკეთებს. ასეთი დამთხვევა ხომ იშვიათია — აი, მე, მაგალითად, სკოლაში უნდა წავიდე, კაბინეტში დავჯდე, მომჩივანი მშობელი მივილო. რეებს ვბოდავ. განწირული მცდელობა, გამოიყენო ნაცნობი ფსიქოლოგის ხერხი და საკუთარ თავს შემოუძახო: „აბა, ამანო და იმანო, შენ კარგად ხარ! ნახე რა მშვენიერი დღეა, ჩიტები ჭიკჭიკებენ! ყვავილები მღერიან! მზე იღიმის! ო, დელია, დელია!“ — სრულიად ამაოა. მიუხედავად იმისა, რომ „ო, დელია, დე-



ლია!“ მე დავამატე. გული ხმამაღლა გიცემს და ექოს ყურთან გრძნობ. მარჯვენა ყურის ქვევით. ეს კლასიკაა. საშინელი. მოუცილებელი. დღეს სკოლიდან პირდაპირ დაკითხვაზე უნდა წავიდე. ფატმანის გამო. ყველა მისი ახლობელი დაიბარეს. ძიება მიმდინარეობს ცხელ კვალზე. რალაც აზრით, პრესტიჟის საქმეა. ეს უკვე მეოცე ქალის მკვლელობაა კვარტალში. ამ ოცი ქალიდან ექვსი სკოლის მასწავლებელია. რალაც ხდება. პოლიტიკურადაც წამგებიანია და ყველანაირად. ფეისბუქს ვათვალიერებ. ტელევიზორი არ მაქვს, მაგრამ ნაწყვეტები და მთავარი ნათქვამები აქაც დევს. ლოზუნგად რომ ვთქვათ: „ფეისბუქი ჩემი ტელევიზორია“. „ნე-გა-ტვ“-ს ჟურნალისტი ამბობს, რომ ეს შეიძლება აპოკალიფსის ნიშანიც იყოს, მაგრამ ერთი სტუმარი სხვა აზრზე დგას. მისი წინადადებით, ეს ყველაფერი ქალების მიერ მანდილის უარყოფამ გამოიწვია. რაც, თავის მხრივ, გადაიზარდა, აბა, გენაცვალე, ზედ შარა-ქურჩაში სიგარეტის მოწევისა და სახლში ხმის აწევაში. აბა, გენაცვალე, ადრე მარტო შემორტყმა ყოფნიდა და ჩერდებოდა. ცოტა, უმტკივნეულო შემორტყმა. ისეთი, ცოლქმრული, მტერს რო წამდვილი ეგონა. ახლა სიტყვას შემოგიბრუნებს და კაცებსაც გვაქვს ნერვები. ცალკე ამ დაწყევლილ მობილურში ვის რას სწერს, ვერ ვაკონტროლებთ, ცალკე სამსახური მოინდომა და ბავშვი ძიძას მიუგდო. აბა, გენაცვალე. ახლა კიდევ, ეს სურათების გა-



მოქვეყნება და ყველაფრის მოშიშვლება ინტერნეტში. ადრე სად ნახავდი?! არა, მე გეთანხმებით, ქალი სუსტია და შევარცხვინე ისეთი კაცი, ქალზე რომ ხელს აღმართავს, მთელი ჩემი სიყმანვილე ამ პრინციპით გავატარე, მაგრამ კაცებსაც ხომ გვაქვს ნერვები და ეს ქალები სულ არ გვანან ქალებს. ნახევარი საერთოდაც გადაკეთებულია. იცით თქვენ? ხომ იცით? ტრანსსვეტები თუ რალაც, მიდი და გაარჩიე. მოკლედ.

ყავის დაღვევის ფეტიში მე არ მაქვს. საერთოდაც, სანამ ეს ექვსი საათის სტუმარი არ წავა, ჭამაც მიჭირს. მაქსიმუმ წყალი. ისევ ფეისბუკი ჯობს. ფატმანის დამ დადო ფატმანის სურათი ფატმანის კედელზე. ასე, ასამდე კაცმა დანერა მოწყენილი სმაილიკი. და კიდევ რალაც. ზოგი ფატმანის გვერდს ჩაუყვა და მისი ბოლო პოსტი ნახა. ფატმანს ეწერა: „მოვასწროთ საკუთარი თავისთვის მეტი სიკეთის კეთება. დღეს ტკბილეულს ვიყიდი, მერე კინოს გადმოვწერ და ვუყურებ. მარტო. ხან როგორი მარტივია ბედნიერება. თან წვიმს“. რა სიმბოლურია, თქვეს კომენტატორებმა. ახლა ჭრელია ფატმანის ფეისბუკი. ახალი, თაიგულეებიანი საფლაკივით. მერე მხოლოდ ერთგულები შემორჩებიან. ზოგს სასაფლაოსი ეშინია და საერთოდ წაშლის.

„ტაქსი მინდა, თუ შეიძლება“, ვრეკავ მე. სხვა ნომერზე. წინა სამლარიანია, მაგრამ ბოლოს სულ გაფუჭდნენ. გუშინწინ დავურეკე და უკვე უკან დაბრუნებული ვიყავი საქმიდან, როცა რალაც მობილურის



ნომრიდან, ოდნავ ნერვიულმა ქალმა შემომძახა: „ვერ ვგზავნით, ვერაა“ და უცებ გათიშა. ეს ოთხლარიანია, მაგრამ დროზე მაინც მოვა.

მანქანაში რადიოა ჩართული. ტაქსის მძღოლი დუმს, ეტყობა, რომ გამომსვლელს ეთანხმება და შინაგან ხმას აყოლებს. „მეორე რუსეთი, ეს მითი არ არის. მეორე რუსეთი ეს დასტაევსკია, ტალსტოია, მიხალკოვია. მე ვარ. არა, მე კი არ ვარ რუსეთი, მე ვარ მომსწრე და მონაწილე იმ თბილი შეხვედრებისა. საბჭოთა დროს კი არა, ახლა, ამ უკუღმართი ომის შემდეგ, როგორ ტიროდნენ რუსები. პოლიტიკა გვაშორებს, თორემ ხელოვნებაში ჩვენი გული ერთია. სპექტაკლი ველარ გვითამაშია, მოლაღატეს გვედახიან, ერმიტაჟი ვერ მინახავს, ჩემი ბიძაშვილი ვერ მინახავს წესიერად....“ და ქალები?!

ეს უკვე ტაქსის მძღოლმა წამოიძახა. „და ქალები?! „ახლა უფრო ჩუმად გაიმეორა და მე შემომხედა. „აბაა, თქვენ ეგა თქვით“, — ვუთხარი და მოყვითალო შენობაც გამოჩნდა. სკოლაში მოსალოდნელი, უჩვეულო სიჩუმეა. ბავშვებს უკვე მოსწრებული აქვთ ყველა ქორის დატრიალება: გაუვარდადან დანყებული, ლაღატი გაუგოთი დამთავრებული. მოკლედ, ნერვიული დღე იყო.

— თქვენ იცნობდით ფატმანს? — მკითხა გამომძიებელმა. ოდნავ თმაშეთხელებულმა კაცმა, რომელსაც ეტყობა, რომ ამაზე ნერვიულობაც მოუსწრია და ამასთან შეგუებაც. ახლა საქმეს იძიებს.



— დიახ, რა თქმა უნდა. ის სასწავლო ნაწილი იყო. მე დირექტორი ვარ. ის საოცრად მონესრიგებული ქალი...

— ეგ არ მაინტერესებს. ეგ სხვა ოპერაა. წინა დღეებში რამე განსაკუთრებული დელვა ხომ არ შეგიმჩნევიათ ან ხომ არ უთქვამს, მემუქრებიანო ან რამე ამდაგვარი?

— არა, არაფერი. მშვიდად იყო. განათლების სამინისტროში ვაკანსიების გამოცხადებას ელოდა. გადასვლა უნდოდა.

— რატომ?! უკმაყოფილო იყო რაიმეთი?!

— არა, განვითარებისთვის, წინსვლისთვის...

— ჰმ... ისა და, თქვენ რა დამოკიდებულება გქონდათ. უშუალოდ. ხომ გესმით, რასაც გეკითხებით?

— არაფერი, მხოლოდ საქმიანი.

— მის ქმარს იცნობდით?

— კორპორაციულებიდან. აი, საახალწლო კარნავალიდან, მაგალითად...

— საახალწლო კარნავალიდან?!

: [www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)

01305

1010



აქამბის გმირი ამბისვე თხრობისას კითხულობდა ბახტინს, რაბლეს და ამავედროულად ქარი ქროდა.

დიახ, საახალწლო კარნავალიდან ჩემს საუკეთესო პიჯაკს შემორჩა ზეთგარეული პამიდვრის ლაქა, რომელიც მთვრალმა ელდარამ, სპორტის მასწავლებელმა გადამასხა სალათის თეფშიდან. ბოდიშები იხადა და დასვრილ ადგილს მარილიც კი მოაყარა, მაგრამ სულ ტყუილად. ვერაფრით მოვაშორეთ. ხათუნასაც გავატანე სახლში, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. მეტასტაზები წასულიყო ღრმად. ხათუნას სარეცხი მანქანა აქვს. ეს პიჯაკი ახლა საპატიო ადგილას კიდია — ვერც ვაგდებ და ვერც ვიშორებ. ლენინი დავარქვი. კარნავალი კი ერთობ მოსაწყენი გამოვიდა. ნაწილმა ფორმები იქირავა, ნაწილი შავი ფანქრის ჭარბი დოზით დაკმაყოფილდა. ზოგიც საერთოდ ჯინსით მოვიდა.

— იცი, მე უბედური ვარ!

— ვაჰ!

— კი, ძალიან. ჩემი ქმარი ვაფშემც ალარ მიზიდავს. აი, ერთად წოლის პონტში გეუბნები რა. არც



მლალატობს და არაფერი, მაგრამ აღარ მიზიდავს. არ ვიცი, რატომ გეუბნები ამ ყველაფერს შენ, რალაც თბილი აურა ვიგრძენი შენგან. სხვანაირი. ვიცი, რომ არავის ეტყვი. ეგებ არ უნდა მეთქვა, მაგრამ აი, ვაფშე აღარ რა... რალაც განყდა სადლაც და ვსო, იმის მერე...

ეს ფატმანია. ცოტა დალია და ცეკვები რომ დაინყო, გვერდით მომიჯდა. თავიდან სკოლაზე ვილაპარაკეთ და მერე ასე მითხრა. ერთი პირობა ვიფიქრე, გასეირნება ხომ არ შევთავაზო-მეთქი, მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ მისი ქმარი იქვე ცეკვავდა, ფიზიკის მასწავლებელ ლეილა ჭუმბურიძესთან ერთად. მეც ნასვამი ვიყავი, მეპატიება. სხვისი ცოლი რომ მომინდა, ეგ თუ მეპატიება? ნება მიბოძეთ, დუმილის უფლებით ვისარგებლო. მით უფრო, რომ ფატმანიც დუმდა რალაც ხანი, თვალეებში ფრთხილი ცრემლით და მერე ადგა, აივანზე გავიდა. „მოვწევ“.

„ხვალ ვილაპარაკოთ“.

ხვალ შაბათი დგებოდა. ნაძალადევად მზიანი დღე. მანქანით გამომიარა. ასეთი სუფთა მანქანა არ მინახავს, მეგონა ბიცოლაჩემის სახლში ვიყავი. ბიცოლაჩემს ეგონა, რომ კარადები 2 ნუთში ერთხელ თუ არ გაპრიალდებოდა, ადამიანები ღმერთს უარყოფდნენ და ატროშანს აღიარებდნენ. ერთი-ორჯერ მაგიდაზე დატოვებულ პურის ნაფხვენს ჩემი ყურების მორჩილი სითეთრე შეენირა და ამ ინერციით ახლაც კომკავში-



რელივიით მონესრიგებულად გავიმართე. ფეხები მივატყუპე და კუთხეებთან დისტანცია დავიცავი, რომ არ დამესვარა. სადღაც გუდაურის გადასახვევთან მოვდუნდი.

— მთელი ღამე ვფიქრობდი, რაც გითხარი, უნდა მეთქვა თუ არა, მაგრამ ისეთი ჟუტკი ამბავია, მაგრა მამძიმებს. ვერც თამილას ვეუბნები, ჩემი ბავშვობის დაქალს, ეგრევე დაფქვავს ავთოსთან. ეგ ვერ გადაიტანს რო დავშორდეთ, ავთომ სამსახური დაანყებინა და მერეც სულ გიფტები და ბამბანერკები და კაი ატნაშენია და ვერ გადაიტანს. ჰოდა, აი, გითხარი...

— ჰო, ქალის და კაცის ურთიერთობა რთუ...

— იცი, ეს არ არის ის სამი წლისთავის კრიზისი და რამე. აი, პროსტა სხვა რამეა. მაგრა მეშინია ამის, მაგრამ მგონი პოლიგამი ვარ!

აქ ფატმანმა ტირილი დაიწყო.

— პოლიგამი ვარ და რო ვერ ვახორციელებდი და მარტო ფიქრებში ვლალატობდი, აი, კუბრიკის შირაკო ზაკრიტიე გლაზამის პონტში, მერე დამერხა. და ახლა, ბოდიში რა, სექსის დროს ფიტულივით ვწევარ. მანეკენშასავით. ნუ, ახლა რომელი მანეკენშა მე ვარ.

აქ ფატმანმა ფეხებზე დაიხედა.

— არადა, ფრიგიდული სულ არ ვარ, იცი შენ, რო განათლებული გოგო ვარ ზოგადად და ეგ სამედიცინო ამბები და ნიუანსებიც კარგად ვიცი. ჰოდა, მოკლედ მითხარი რა, რა ვქნა.



— ცოტა მძიმეა ასე ჩემთვის...

— აუ, ეს ანანური როგორ მიყვარს, საუკუნეა არ ვყოფილვარ აქა. ადრე ექსკურსიაზე დავდიოდით სამწვადაოდ. აქედან არის კიდევ ჩასასვლელი? მოიცა...

აქ ფატმანის მანქანამ დაიწყო ტირილი. ძლივს ჩავგორდით.

— ახლა შენ იფიქრებ მაბამს ეს ქალიო... კაი ახლა, არ გამისწრო... მმ... ვიცი — მაბამს, პროსტა ემოციურ იმაში მეშლება და ისა, ვაფშემც არ გაბამ...

— ვიცი, რა შუაშია, არც მითქვამს, ფატი, ეგა... არც გამიფიქრებია...

— მაგრამ პირდაპირ გეტყვი... პროსტა, მინდა რო მაკოცო... განა მევასები და რამე... პროსტა, მინდა რო გამოვცადო ახალი რალაც. ესე, ერთჯერადად და ვსო... თან ვიცი, არ გააბაზრებ... ან რა უნდა გააბაზრო, არაფერიც არ მოხდება.

რომ ვაკოცე, მივხვდი, რომ მომენონა. ან ეგებ ადრეც მომწონდა ფატი და სადღაც ვბლოკავდი ამ გრძნობას, თუ შეგრძნებას, თუ რად უნდა ახლა ამას დეფინიცია. კიდევ ვაკოცე. კიდევ, კიდევ.

— ასე შეგიყვარდები, — სიცილით მითხრა.

— მერე, რა უჭირს?

ვკითხე მე. არადა, უჭირდა. მარტო იმიტომ კი არა, ქმარი რომ ჰყავდა. მე რთული სიყვარულები ვიცოდი. ბევრჯერ არ მყვარებია, მაგრამ რაც — სულ ტრაგიკულად. მევე ვართულებდი, მერე ისინი მშორდებოდ-



ნენ და თვეობით დეპრესიები და დილის ექვს საათზე დანყებული ტანჯვის გასამმაგება და ასე შემდეგ.

— უჭირს.

— აბა, რა ვიცი, არ მოგნონს ჩემთან?

— რომ არ მომნონდეს, ხო არ ვიქნებოდი. მაგრამ სიყვარული რაა, არავინ იცის. მე მგონი, მოგონილი რამეა და ისე ჯობია რა, ლაითად...

— როგორც გინდა, რა ვიცი, მე რალაც ვიგრძენი ისე.

აქ ფატმანმა გაიციინა.

— კაი რა, პირველად შევხვდით ესე. ან მეკაიფები, ან ილუზიაა...

— შენ მე არ მიცნობ, მე ასე ვიცი, უცებ.

— კაი, ნავიდეთ რა. უნდა ვიფიქრო.

— ეე, ვიცი მე, იფიქრებ და გადაიფიქრებ.

სალამოს სახლში რომ მივედი, თამაში ჩავრთე.

**Dante's inferno.** ტელეფონი გვერდით დავიდე და რახან მესიჯებზე ხმა არ მქონდა, დროდადრო დავხედავდი ხოლმე. ღამის ორ საათზე მოვიდა წიგნი ფატმანისა ჩემდამი მონერილი პირველი და ბოლო: „იცი, რა, ეგრე ადრეც მქონია და ზუსტად ვიცი, რომ მომნონხარ, სექსი გვექნება და მერე მაინც ავთოსთან დავბრუნდები, იმიტომ, რომ ვერ გავძლებ. ადრეც მქონია, ხო გეუბნები. რალაც სტაბილურად და მშვიდად ვარ მასთან. ასე რომ, მაპატიე რა, აგაფორიაქე, მაგრამ ჯობს აქვე დავსვათ წერტილი. ამ მიმართულებით, ცხადია“.

თავი 6

# ქვეყნის სტრუქტურის მოვლიანი



აქ ამბის გმირი ამბისვე თხრობისას არაფერს არ კითხულობდა.

დილით ერთმა დამირეკა და ასე მითხრა: „მე ახალი ვარ და ზუსტად თემა არ ვიცი, მაგრამ რედაქტორმა დამავალა და მითხრა, რომ შენ იცი, და რომ მოვიდე და პირდაპირ მითხრა, შეიძლება?“

მეორემ შეხვედრა დამითქვა. სასწავლო პროცესის მერე.

— ესე იგი, თქვენ ეტყობა, ინტერვიუებს მიწვეული არ ხართ, ხელს ნუ ადებთ დიქტოფონს!

— აა, უკაცრავად.

— არა უშავს, ჩვენი საქმე ასეთია, ეს კი არა, ისეთ წინააღმდეგობებს ვლახავთ, რომ... მოკლედ, დავინწყით, ცოტა ხმამაღლა ილაპარაკეთ... მოიცა, ერთი წუთით, გადავამოწმო თუ ინერს... კაი. ვსო. მოკლედ, ამ მკვლელობაზე რომ ვილაპარაკოთ. ფატმანი თქვენი თანამშრომელი იყო. როგორც იცით, ქმარი მკვლელობას თავიდან აღიარებდა. ახლა ამბობს, შოკში ვიყავი და უარყო ჩვენება. თქვენ რას იტყვით?

— იცით, გამარჯობა. მე ამაზე რა უნდა ვთქვა. მეც შოკში ვარ ზოგადად. ფატმანი შესანიშნავი თანამშრომელი გახლდათ...

— ქმარზე, ქმარზე მელაპარაკეთ...

— ქმარს კარგად არ ვიცნობდი. მე რა უნდა ვთქვა. კაცი ახლა ციხეშია. საშინელი დანაშაული ჩაიდინა და თავისივე ეყოფა. დიახ, თუ ჩაიდინა, რა თქმა უნდა, ეგ დასადგენია გამოძიების და მიუკერძოებელი სასამართლოსი. მე მგონია, რომ...

— აქ ხო ენევით? ბავშვები რა? ოოო, კაი რა, ბავშვები მეხუთედან აფუილებენ. მოკლედ, ამ ნაკითხ ხალხს სიტყვას ვერ ამოგგლიჯავთ რა. მარტო წიგნები ხო არაა, არა?.. ისა და, ფატმანი გამომწვევად იცვამდა?

— არა, რას ამბობთ. ეს სკოლაა, სხვა წესებია ცოტა.

— სკოლის გარეთ?

— სკოლის გარეთ არ ვიცი. მე არ ვერევი თანამშრომლების პირად ცხოვრებაში.

— არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ქმარმა გაიგო, რომ ფატმანი ლალატობდა...

— ვერ გეტყვით, აბა, საიდან გითხრათ...

— აქ ასე ხდება სულ. მერე ქმრები ხოცავენ ქალებს. ამაზე რალაც წერილიც დაინერა, შევუერთდეთო ამ ძალადობის წინააღმდეგ ხელმონერებსო და, თქვენ ხელი მოაწერეთ? მე არ მომინერია, მაგრად არ მევასება ეს ფემინისტები, რა დროს ფემინისტებია? ცალკე გავაპრო-



ტესტებ რო რამე. ეგ იყო პროშლი ვეკ. გრანტები და ამ-  
ბავია, ხომ იცით. ის და, შენ, უკაცრავად თქვენ, აუუუუ,  
სულ მეშლება ეს და არ შემიძლია ეს რა, შენობითზე გად-  
მოვალ, რას ფიქრობ, იმატა მაინც ქალებზე ძალადობამ  
თუ კომუნისტების დროს მალავდნენ? მე ასე არ მგონია,  
ქალებს სულ კლავდნენ, მაგრამ შენ რას ფიქრობ, რო-  
გორც სკოლის დირექტორი? ფატმანი ქმრით კმაყოფი-  
ლი იყო? ამბობენ, საზღვარგარეთ მოხევა უნდოდაო.  
შვილი არ უჩნდებოდათ? აუ, შენ რა არაფერი არ იცი.  
სკოლიდან უნდა გამოასვენონ? ეკლესიიდან? რატო?  
სურათი გაქვს რამე კარგი ხარისხის თუ ფოტოგრაფი  
გამოვუშვა? შენი, კაცო, ფატმანის მაქვს. მაინც არაფერი  
არ მითხარი და ამ მასალას ან გაუშვებენ, ან არა! ფატმანს  
ადრე სხვა ქმარიც ჰყავდა თუ ეს იყო პირველი?

მე დაახლოებით ისე ვპასუხობდი, როგორც ზე-  
მთ. ამიტომაც აქ აღარ გავიმეორებ, მოსაწყენია და  
გამექცევით. ჩემი გამოუცდელიობის ბრალია, ცხა-  
დია. ჟურნალისტი არაფერ შუაშია — რეჟისორი რომ  
ყოფილიყო, მერხზე შემოხტებოდა და დაიღრიალებ-  
და: „ექშენი, ექშენი დამანახე!“, მაგრამ ჰა...

„ეს გალაკტიონის კაბინეტია“, — ვუთხარი მაინც  
გასვლისას, სრულიად რატომღაც. „ტოჟე მნე, სულ  
აქ იჯდა“, — მითხრა თბილი ირონიით, გამარჯვე-  
ბული სახით და გავიდა. ფატმანს ზეგ კრძალავდნენ.  
ავთოს სასამართლომ წინასწარი მიუსაჯა. ზამთარი  
დასრულდა. გაზაფხული დაიწყო.

05307

39 20 სკოლაში

: [www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)



აქ ამბის გმირი ამბისვე თხრობისას კითხულობდა ისევ „გურულ დღიურებს“, კრილოვს და კრილოვის ბიოგრაფიას.

ადამიანების გაღვიძების დაუთქმელი რიტუალი გურიაში ეგეთია: ერთი იღვიძებს და გადაულაპარაკებს მეორეს: „გღვიძავს?“ — „კი, ერთი საათია გაშტერებული მაქვს თვალები“. — „იი და გუშინ რამინიეს გოგოს ამბავი გეიგე? რაფერ იმასუქნია დაბადების დღეში“ და მერე ლობეა გასაკეთებელი — ღორი ძვრება, შაქარმა ფასი მოიმატა და პაკისტანში როგორი ქარიშხალი ყოფილა. ანტენაა შესაბრუნებელი სადგურისკენ. ვერ იჭერს კარგად. განსაკუთრებით გრძელი და მისტიკური ეს საუბრები ზამთრობითაა, როცა დილას დადგომა უჭირს. მამალი კი ყივის პარალელურად და ტრადიციების სრული დაცვით. მერე ერთი რისკავს და დგება — ცეცხლს შეუნთებს. ცეცხლი დილის სიკვდილს ნიშნავს. თუ პატარა ხარ, შენ ყველაზე გვიან დგები. შესაბამისად, გაქვს საშუალება, დილის დაბადებას დააკვირდე — როგორ იშორებს კედელი ნელ-ნელა ღამის ჩრდილებს და დაზეპირებული ოთახი იბადება. ოთახზე



ორ გაურკვეველ სურათს ამჩნევ: 1) ლომონოსოვი მიდის სკოლაში — სწავლა არასდროსაა გვიან და 2) დედა-სამშობლო გვეძახის. აქ კიდევ ძირითადად მეზობლის სკაიპის ხმა მესმის, რომელიც თავის მეზღვაურ ქმარს უკავშირდება. შვიდზე რეკავს. რა ენაღვლება, არ მუშაობს-არაფერი, ერთი შვილი ჰყავს გათხოვილი და ქმარი დოლარებს უგზავნის. ლამარას მთავარი ფეტიში კუების სტატუეტების შენახვაა. ასი კუ მაინც ექნება სახლში. რა გინდა, რა ფერისა და ზომისა. ვერ გეტყვით რას გულისხმობს კუთა ეგზომი სიყვარული, საუკუნეების განმავლობაში ცოცხლად ყოფნის ქვეცნობიერ სურვილს თუ უბრალოდ, სახე მოსწონდა ან ბაკანი. ძალიან მინდოდა, ლამარას წყევლა სცოდნოდა, გულღრძო ყოფილიყო, გვერდით კი არა, ზევით ეცხოვრა და წყალი ჩამოეშვა, რომ მერე ჩემს იგავარაკულ დღიურში ჩამეწერა: „კუ და მორიელი დაძმობილდნენ“, მაგრამ ლამარა საოცრად მშვიდობიანი იყო. ზედმეტად. გამაღიზიანებლად. ამოოხვრისასაც კი „ეჰ, სკოლის წლები, ეს არასდროს არ დაბრუნდება“ და ისეთ სულელურად უდრტვინველ სახეს იღებდა, ჩემთვისაც სრულიად მოულოდნელად მინდოდა, უცებ მივვარდნილიყავი და თავში ყველაზე დიდი, ყავისფერი კუ ჩამეცხო. მერე წარმოვიდგენდი სისხლის და ტვინის ნარჩენებს კუს უმეტყველო სიფათზე, როგორც რომ „ნიჭიერ მისტერ რიპლიშია“, ოღონდ იქ სხვა



სტატუეტია. კაცის თავი. „ალარაფრის თავი არ მაქვს, დღეს ჯუმბერი რომ რეკავდა, ცუდი ფერი ჰქონდა რალაც. ეს ყველა მთავრობის კაცი როა, ბინის ინსპექტორი თუ რალაცაა, სულ ფუჭდება ლიფტი და ამ ფულს რალაზე გვართმევს, ხო არ იცი, გეგონება ჰაერზე იყოს ეს ფული“. არადა, ლამარასთვის ფული მართლაც ჰაერს მოჰქონდა. განსხვავებით რეზო ჩომახიძისგან. ის კარის მეორე მეზობელია. თუ მეორე კარის მეზობელი. „სტალინი რომ ცოცხალი ყოფილიყო“ გილდიის კაცი. შაბათობით, როცა იცოდა, მეცალა, სახლში შემართევდა, ამერიკელებს ლანძღავდა და თან რუზველტის სიტყვებს მიკითხავდა სტალინზე. რეზოს, რაც აქ ვცხოვრობ, სულ ერთი პერანგი ეცვა, მაგრამ მარად საგანგებოდ გარეცხილი. ალბათ კობას კიტელის ამბავში. მთლად ეგრე ღარიბიც როდი იყო, ერთი ხელი ტანსაცმელი ჰქონოდა. „ისე, სხვათა შორის, თუ სიმართლე გინდა, ავტორხანოვი ბევრს იტყუება თავის წიგნებში, განსაკუთრებით სიკვდილის ამბებთან დაკავშირებით. იქ ბერიას პირდაპირი კავშირი არ ჰქონია. არა, შეიძლება კი გაუხარდა სტალინის სიკვდილი, მაგრამ იავნი ებრაელების შეთქმულება იყო. მობეზრდათ ქართველი სათავეში. ვერ აიტანეს. ვერ აიტანეს აღმშენებლობა. თვითონ რუსებმაც. აბაა. ტყე-ტყე დარბოდნენ და ცივილიზაცია შეიტანა. ილიჩის ნათურასთან ლენინი რა შუაშია? თუ სიმართლე გინ-



და, ეგ ლამპოჩკის სქემა სტალინმა მოაპარვინა თავის ბათუმელ ძმაკაცებს გერმანიიდან. ლენინი რისი გამკეთებელი იყო, იქ ეწერა, სახურავზე ადიოდა და ჰოლანდიური მამალი ვარ, ყიოდაო. სტალინმა შექმნა საბჭოთა კავშირი. ხალხი დახოცაო რომ აბრალებენ, რა ხალხი დახოცა, ნახევარი დასახოცი იყო მაქედან, ნახევარს ტყუილად აბრალებენ. გაბერილი ციფრებია, მე შენ გეტყვი“ — ამბობდა და თან პირს უცნაურად ანკლაპუნებდა, გეგონება გემოს უსინჯავსო. და აი, შუა ნკლაპუნში, ტურის კუთხეებში რომ თეთრი, ნალვლისბუშტისსუნიანი ქაფი მოადგებოდა, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, მინდებოდა ლამარას კუ გამომეტანა და ამისთვის ჩამეცხო თავში. ეგრე მოვკალი ორი ადამიანი. ბევრჯერ. და რადგან ბევრჯერ, რა თქმა უნდა, გონებაში. აბა, ისე მე კაცის მკვლელი ვარ?! ჩიტი არ ჩამომიგდია არასდროს კისტის თოფით. მართლა, მართლა, დედას გეფიცებით! ბავშვობაში, ჩემი ბიძაშვილები მახრებს რომ იჭერდნენ ბოსტანში, მე ვყვიროდი, გაუშვით, შვილებთან ერქარებათ-მეთქი.

— უი, სანყალი შენი თანამშრომელი ახალგაზრდა გოგო, რა დღეში ჩავარდა. ნეტა შვილი დარჩენოდა, მაგრამ შეიძლება უკეთესიცაა, რომ არ დარჩა. ისე ნახე? გადმოცემაში თქვეს, მაგის ქმარმა უდანაშაულობის მტკიცებულებები წარმოადგინაო და თუ არ გამოუშვებენ, შიმშილობით სიკვდილით იმუქრებაო!



სახლიდან გამოვედი თუ არა, სადარბაზოში, რა-  
ღაც ძალით, რეზო და ლამარა ერთად დამხვდნენ და  
თითქმის ერთდროულად მითხრეს ეს ამბავი.

— კი, კი, საშინელი ტრაგედიაა. შოკში ვართ.  
ახლა იქ მივდივარ ზუსტად!

სწრაფად მივაყარე და კიბეს დავანეჭი. ლიფტის  
ლოდინი გამოინვევდა ასეთი წინადადებების რიგს:

„გაგვაგებინე რომ მოხვალ, ტელევიზორში ხომ  
ბოლომდე არაფერს არ იტყვიან. ისე, საყვარელი  
მართლა ჰყავდა? მაინც ცოდვას ახალგაზრდა გოგო.  
დენის კაცი თუ შეგხვდეს ქვევით, ფეხი მოსტეხე,  
ბიჯო, ჰიჰიჰი! სტალინი აბა ამას დაუშვებდა? მე შენ  
გეკითხები! ეჰ, ჩემი ქმარი დაცურავს სადღაც შორს,  
რა ენაღვლება, ჩვენ თავზე გვექცევა ქვეყანა“.

ეზოში თბილოდა.

თავი 8

# ძველი მანკივანი



აქამბის გმირი ამბისვე თხრობისას კითხულობდა ანდრეი გულიაშკის მივინყებულ წიგნს „ავაკუმ ზახოვი აგენტ 007-ის წინააღმდეგ“.

ტაქსიში ფანტასტიკური ცნობა მომივიდა. უკვე მეოთხე წელია, ამოდ ვმონანილეობ გათამაშებაში „გემი აქაბი, არნახული კრუიზი საოცნებო იახტით ბულგარეთის ზღაპრულ სანაპიროებზე, კიდევ უფრო ზღაპრულ ამინდებთან ერთად“ და აი, ისიც! მირეკავს ტურისტული სააგენტოს მენეჯერი და ოდნავ საიდუმლო და საზეიმო ხმით მამცნობს: „თქვენ ჩვენნი აქციის ორასმერვე გამარჯვებული ბრძანდებით! გთხოვთ, მოხვიდეთ ჩვენთან ოფისში, მოგზაურთა ქუჩა ნომერი 5/3-ში და შეავსოთ საჭირო საბუთები. წარმატებას გისურვებთ!“

იმაზე უფრო გამიხარდა, ვიდრე ველოდი. არადა, უამრავჯერ წარმომედგინა ეს სცენა. ტაქსიშიც კი. როგორც სიხარულის კლასიკა მოითხოვს, უნდა გადავხვეოდი უცნობ ტაქსის მძღოლს, მას გაუგებრობისგან გაკვირვებული სახით შემოეხედა და ეთქვა: „გილოცავ, გილოცავ, ჯიგარ, მაგრამ აბა, კარგად



ამიხსენი, რა ხდება?“ სცენა არ გათამაშდა, რადგან უკვე ფატის სახლთან ვიყავით და ტაქსის მძღოლს მისთვის სრულიად გასაგები ხუთლარიანი მივეცი და ჩამოვედი.

ფატის სახლში რამდენიმე ნათესავი შეკრებილიყო. სკოლის ორი მასწავლებელი და კიდევ ერთი მუშა. ზურგით იდგა და იმ მაცივარს შლიდა, რომელიც უკვე გაგაცანით. აი, გადასაგდებად გამზადებული.

„რა ხდება, რა უბედურებაა, ვერაფერი გამირკვევია. ეჭვებში ვარ რა, თან გამოძიება იძახის, რომ ცხელ კვალზე გავხსენით და ნაღდიაო, თან ქმრის ადვოკატმა სულ სხვა რამეები მითხრა. მერე გეტყვით. გავაცითოთ ჯერ ეს საწყალი კუბოში“. ეს ნანაა, სამოქალაქო უფლებების მასწავლებელი. ოდნავ პუტკუნა ქალი, რომელიც სულ მწვანეთა ერთ-ერთი ორგანიზაციის გულსაბნევს ატარებს, სახლში ექვსი კატა ჰყავს და ათჯერ ექვსი კაქტუსი. ერთხელ ვიყავი სტუმრად და სანამ სასტუმრო ოთახში შევიდოდი, იმ კატათა და კაქტუსთა შორის ისე გავიარე, თითქოს სცილა და ქარიბდა ყოფილიყოს.

„ისე, დაკრძალვის ხარჯები ფატის ბიძას გაუღია. მოსკოვში ცხოვრობს. ბიზნესმენიაო. თვითონ ვერ ჩამოვიდა რაღაც მიზეზების გამო, მაგრამ რომ დაურეკეს, თურმე ერთ წუთში გამოაგზავნა ფული. კაი კაცი ყოფილა, ბევრი კი არ იზამს. ოცი წელია



მოსკოვშია. იქეთ მთლად ისე არ გაცივებულა ჯერ ხალხი. მაინც აქვთ შერჩენილი“...

ეს ქეთინოა. ქიმიის ქეთინო. დაბალი ქალი წვრილი თვალებით.

„ცოტა მიინიეთ იქით რა, მაცივარი უნდა გამუათრიო და ჩევიტან ბარელამ ქვევით“. ეს ის ხელოსანია თუ მუშა, ზურგით რომ იყო. ჩაგატანინებთ, გამოვიდე თავი და რომ შემობრუნდა, არც მეტი, არც ნაკლები, ოდნავ მობერებული, თავსა და წვერზე გამოხატული ბუდობრივი ალოპეციით, წარბთან შესამჩნევი ნაიარევით და მაინც ილოია სიხარულიძე! ჩემი კლასელი!

„ვააა!“ გავცვალეთ ორივემ, როგორც ქრესტომათია მოითხოვს.

— შენ სკოლაში ხარ, ხომ? გნახე ერიგზობა ტელევიზორში, რაცხა იი იყო...

— კი, დირექტორი ვარ. ვა, მაინც რა მაგარია რომ გნახე, რა ხანია...

— ხო, იქნება ასე ხუთმეტი წელი.

— საქმეები როგორ მიდის, ყველაფერი კარგად?

— კი, რაცხას ვმუშაობ, ჩემდა ვფოჩიხოფ და ვარ. ფირმა მაქ, მაცივრებს და გაზებს ვიბარებ და ასე.

— ახლა ცოტა ისეთ დროს კი შევხვდით, მარა ნომერს თუ მომცემ, დაგირეკავ და დაგპატიუებ სადმე. რა გიყვარს შენ?

- რა ვიცი, კაი, არ გინდა, მე დაგპაიჯებ ჩემსას სახლში. ადესა მაქ.
- მითხარი, კაცო, რა გიყვარს, მე დაგასწარი.
- პიცა მიყვარს!

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა  
საიტმა: [www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)



თავი 9

# ისმანელი ჭამიძაძე

აქ ამბის გმირი ამბისვე თხრობისას ველარ კითხულობდა.

თქვა ილოიამ და ორი პიცა მარტომ შეჭამა. ერთი სამარხვო, ერთი ისე. ოღონდ ეს ორი კვირის შემდეგ. უცნაური დღეა, გაზაფხულია და თოვლი მოვიდა.

იმწელსაც ეგრე იყო. სანამ მოვა, ბავშვი ხარ და ცას უყურებ. გინდა შეივსოს ის პატარა ბაცი ლურჯი ნაწილი ცის, გურიკას სახლის თავზე რომ არის. შავი ღრუბლით შეივსოს. „შავი ღრუბლების შეგროვება შენს თავზე“ მაშინ კარგ რამეს გულისხმობს. ანუ უკულმაა ყველაფერი — ბავშვობა ხომ თავდაყირა დგომას ნიშნავს. ჰოდა, შეივსო ის ლურჯი და წამოვიდა. სამ დღეში სახლი გადასათოვლი გახდა. ასე დაემთხვა, მარტო მე და მამაჩემი ვართ შინ. ამიყვანა სახურავზე. სახურავზე ასვლა უდრის ყველაზე მაღლა დგომას. ყველაზე და ყველაფერზე. ყრის თოვლს და ვუყურებ. სიხარული მგუდავს საგანგებოდ შემოხვეულ კაშნეზე უფრო. და მინდა იმ გოგომ დამინახოს. სახურავზე ვდგავარ ბოლო-ბოლო. და თოვს. მაგრამ გოგო შორსაა. შორს რა — ალბათ ხუთი კილომეტრით იქით. და გოგოს სულ ცალ ფეხზე ჰკიდია. და მე წელ-წელა ვბრაზდები. ვინ-



ყენ. წუხილი საგანგებოდ შემოხვეულ კაშნეზე უფრო მგუდავს. და ვთხზავ — ვერტალიოტი მოფრინდება და მე ვჯდები, ვითარცა რემბო ან ვან დამე (E-ს ეგრე ვკითხულობდი) და მივფრინავ იმ გოგოს სახლთან და ვიტაცებ. „ვსო, ჩევეით ქვეით, მეტი აღარ უნდა“. სწორად მოგესმათ — ეს მამაჩემის ხმაა. ქვევით ცეცხლი თავიდანაა დასანთები. ანთებს, მე კი ვიტყვით მინდა, ძალიან მინდა, მაგრამ მამაჩემი ვერ გაიგებს. ამიტომაც თავს ძალას ვატან და ცრემლებს სათავეში ვიშრობ. ეგეთი გაუგებარი რამეა სიყვარული. ხან სულაც გაუმხელელი. ნაღდი სიყვარული გადასათოვლი სახლით. მე და ილოიას და სხვა დანარჩენ ბიჭებს სკოლაში ხომ ერთი გოგო გვიყვარდა. გავიხსენეთ გოგო და თოვლი. „ტრუბების“ გამობერტყვა, როცა „ბოლს“ აღარ ატარებს და სახლი იჭვარტლება. გზის გაკვალვა ჭიშკრამდე, ხის ამოსაცმელებით, რომელსაც თხილამურებს ეძახდნენ. სასრილოები, კიბეზე წყალს რომ ვასხამდით და დილით მოყინულზე ცელოფნის პარკებით ვეშვებოდით.

ილოიამ მორიდებით მესამე პიცა მოითხოვა. „სამი დღის გადაბმით ნამუშიერი ვარ, ცოცხალ-მკტარი და“... „კაი, რას ამბობ, რა პრობლემაა, არ გრცხვენია, კაცო“.

„მაგათ არაფრის არ რცხვენიათ, შვილი მომიკლეს, უდანაშაულო შვილი!!“ — მოისმა კედელზე მიმაგრებული ეკრანიდან. წამყვანმა გააგრძელა: „დღეს ციხეში გარდაცვლილი იპოვეს მსჯავრდებული ავთანდილ დიდებულისძე. ის სავარაუდოდ თვით-



დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა. როგორც ავთანდილ დიდებულის ადვოკატი შალვა ბაღდავაძე აცხადებს, მას აქვს წერილი, რომელშიც ავთანდილ დიდებულს სიმართლეს ჰყვება. ეს წერილი მათ ყველა ინსტანციას მიანოდეს, მაგრამ სამართალი ვერ იპოვეს“. შალვა ბაღდავაძის სინქრონი: „წერილში ან გარდაცვლილი უკანონო პატიმარი, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ჰყვება, რომ როცა სახლში დაბრუნდა, მოულოდნელად დაინახა კაცი, მუშის ტანსაცმელში, რომელიც აბაზანის კართან იდგა და სავარაუდოდ, ხვრელის მოძებნას ცდილობდა, რომ ან შეეხედა, ან კარი გამოეღო. აბაზანაში ფატმანი ბანაობდა. ან გარდაცვლილის ან გარდაცვლილი მეუღლე. ბატონმა ავთანდილმა დაუძახა მუშას, რომელიც არაადეკვატურად აკანკალდა და ხელი ჰკრა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს. ბატონი ავთანდილი წაიქცა და გონება დაკარგა, როცა გაიღვიძა, ნახა სისხლში მოსვრილი მისი მეუღლე და მეზობელთან გავარდა. მე მინდა გითხრათ დაცხადებ მტკ...“

გამოვიხედე და ილოია ცახცახებდა. სახეზე სიკვდილის მიღმა ფერი ჰქონდა და თეფშს უყურებდა. უცებ ჯიბიდან რალაც დააძრო, არ ვიცი, დანა იყო თუ რამე ხელსაწყო და თვალში ჩამცხო. ტკივილისგან ვიღრიალე და წამოვხტი. მეორე დარტყმა გულთან იყო და, როგორც წესია, სისხლი წამოვიდა. სისხლი. ბევრი სისხლი. მერე უკვე ილოიას ველარ ვხედავდი. ვერც



პიცერიას. ვერც პიცის ერთადერთ ნაჭერს, რომელიც ვერც კი დავამთავრე, ისე მომკლეს. მხოლოდ ჩემს ჯინსის შარვალს ვამჩნევდი, რომელიც ნელ-ნელა წითლდებოდა და ბოლოს, ჰოი, საოცრებავ, იმ თეთრ შარვლად იქცა, იმ საშინელ შარვლად, ნადიამ რომ ჩამოიტანა ლილოდან. არც გემი აქაბი მახსოვდა, არც ელენე, აღარც ფატმანი. მხოლოდ თეთრი შარვალი. ისიც იმიტომ, რომ ვხედავდი. თეთრი და სუფთა თეთრი შარვალი. თეთრი შარვალი — თეთრი და სუფთა.

>>>

— შარვალი დამესვარა და რა ვქნა, მომკლავს დედაჩემი!

— რომელი ხარ შენ?

რადგან ის ვიყავი, ვინც ვიყავი, მისი შვილიშვილის კლასელი და კარგი მოსწავლე, ჩამოი ეზოშიო და ჩავედი. მარინა. მარინა მოსახლიშვილი. მარჯვენა ლოყაზე ბენვებიანი ხალით.

„ამას ახლა ვერ გავრეცხავ, ჩემი ბებიე, მე ხელე-ბი აღარ მივარგა და შენც სახლში ხარ წასავალი და ამიზა ასე ვქნათ. ილოიასაც ჩამუუტანა ნადიამ ამფერი და მაინც არ იცუმს. ახლა ჯართზეა წასული, მარა ვიცი არ გაბრაზდება, არაა თლა გლახა გულის ბიჭი. გეიგეფს. მოი მაგის შარვალი ჩეიცვი შენ და ნორაიას გავარეცხიეფ მერე ამას. მეიცა, მოვძებნი შკაფში ერწამში, მეიცა, მეიცა“.

# სარჩევნი

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა  
საიტმა: [www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)

თავი 1	
ნსმაელი ღამიძაბეთ!	9
თავი 2	
კაფე „კატა ბაზისი“	17
თავი 3	
ფატმან ბოჭორიძე. სასწავლო ნაწილი	23
თავი 4	
ღღე მეორე – ღღე უკანასკნელი	29
თავი 5	
ლაქა	37
თავი 6	
ჟურნალისტნი მოვიღიან	45
თავი 7	
კუ და სკაიპი	51
თავი 8	
ძველი მაცვივარი	59
თავი 9	
ნსმაელი ღამიძაბეთ	65